სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2020 წლის თებერვალი

შინაარსი

თავი II.	**პროკურატურის სტატისტიკა …….**	3
ნაწილი 4	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები.....	3
4.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით ……....	3
4.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით ..	4
4.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით	17
4.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.	18
ნაწილი 5	დაზარალებული პირები.....	19
5.1	დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით.....…….....	19
5.2	დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	21
ნაწილი 6	არასრულწლოვნები.....	28
6.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....	28
6.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	28
6.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....….....	30
6.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....….....	31
6.5	დაზარალებული არასრულწლოვნები.....	31
თავი III.	**სასამართლო სტატისტიკა .....**	34
ნაწილი 7	სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	34
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	34
ნაწილი 8	პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	36
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	36
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები.....	38
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები.....	38
ნაწილი 9	მსჯავრდებულები	38
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	38
9.2	მსჯავრდებულთა შემადგენლობა	39
9.3	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	43
ნაწილი 10	დანაშაული და შეფარდებული სასჯელები	44
10.1	დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით	44
10.2	დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	50
თავი IV.	**პენიტენციური და პრობაციის სისტემების სტატისტიკა.....**	52
ნაწილი 11	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -სპეციალური პენიტენციური სამსახური	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	58
11.3	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები	59

11.4	მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	61
11.5	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით	62
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები	63
11.7	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა	66
11.8	პენიტენციური სისტემიდან გასვლა	66
11.9	პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლება-გადავადება	68
11.10	რესოციალიზაციის მიმდინარეობა	68
11.11	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება	75
11.12	დისციპლინური სახდელები	77
11.13	წახალისების ფორმები	78
11.14	პაემნის ღონისძიებები	80
11.15	წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	82
11.16	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები	83
11.17	შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	84
11.18	ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	84
11.19	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები	84
11.20	დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში	87
11.21	გარდაცვალება	96
ნაწილი 12	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო	97
12.1	არაპატიმარი მსჯავრდებულები	97
12.2	არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	99
12.3	არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	100
12.4	უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები	101
12.5	არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით	102
12.6	არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება	104
12.7	დასრულებული საქმეები	106
12.8	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა	109
12.9	არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება	109
12.10	არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია	110
12.11	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე	110
12.12	არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება	111
12.13	არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება	114
12.14	შინაპატიმრობა	115

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა

ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2020 წლის თებერვლის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1806 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილია 273 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 15,1%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



როგორც მონაცემებიდან ჩანს, დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, ხოლო დაბალი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[1]

2020 წლის თებერვლის თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>



[1] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (სსკ-ის მუხლები: 127-136):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (განსაცდელში მიტოვება).

<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):</u>

დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ სსკ-ის 172-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):</u>



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>



<u>დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 220-221):</u>

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>

დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ სსკ-ის 258-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (მიცვალებულისადმი უპატივცემულობა).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დევნა დაიწყო 66 პირის მიმართ სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი კომპიუტერულ დანაშაულებზე
(2020 წლის თებერვალი)



<u>დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2020 წლის თებერვალი)



<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367[1]):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 366-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სასამართლოს უპატივცემულობა).

<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2020 წლის თებერვალი)



<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაზე (2020 წლის თებერვალი)



<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381[2]):</u>



<u>დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):</u>



4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2020 წლის თებერვლის თვეში დევნა შეწყდა 13 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 3; ცხრილი 4):



4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2020 წლის თებერვლის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

<u>**დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):**</u>

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2020 წლის თებერვალი)



<u>**დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):**</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 203-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვა).

<u>**ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):**</u>

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2020 წლის თებერვალი)

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დევნა შეწყდა 3 პირის მიმართ სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

ნაწილი 5. დაზარალებული პირები

5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით

2020 წლის თებერვლის თვეში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1294. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):

დაზარალებული პირები ასაკობრივ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობაში)



დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 5):

დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში
(2020 წლის თებერვალი)



2020 წლის თებერვლის თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 5):

დაზარალებული პირები მოქალაქეობის მიხედვით
(2020 წლის თებერვალი)



5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[2]

2020 წლის თებერვლის თვეში დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 8):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>

დაზარალებული პირები სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2020 წლის თებერვალი)



[2] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>

დაზარალდა 3 პირი სსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება).

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება).

<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დაზარალდა 3 პირი სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალდა 133 პირი სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად.

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დაზარალდა 36 პირი სსკ-ის 284-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა).

<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367¹):</u>

დაზარალდა 2 პირი სსკ-ის 366-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სასამართლოს უპატივცემულობა).

<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>

დაზარალდა 3 პირი სსკ-ის 373-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ცრუ დასმენა).

<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>

დაზარალებული პირები სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2020 წლის თებერვალი)



<u>დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):</u>

დაზარალებული პირები დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2020 წლის თებერვალი)



ნაწილი 6. არასრულწლოვნები

6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2020 წლის თებერვლის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 34 არასრულწლოვნის მიმართ (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ რეგიონულ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[3]

2020 წლის თებერვლის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

[3] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დევნა დაიწყო 2 არასრულწლოვანი პირის მიმართ სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2020 წლის თებერვალი)



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების დანაშაულზე (სსკ-ის 273[1] მუხლი).

6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2020 წლის თებერვლის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 5 არასრულწლოვანი პირის მიმართ თბილისის რეგიონში (ცხრილი 3, ცხრილი 4).

6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2020 წლის თებერვლის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):**</u>

დევნა შეწყდა 3 პირის მიმართ სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ძარცვა).

<u>**ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):**</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 273[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება).

6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები[4]

2020 წლის თებერვლის თვეში სულ დაზარალდა 121 არასრულწლოვანი. დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

[4] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილებიას გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2020 წლის თებერვალი)



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2020 წლის თებერვალი)



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალდა 20 პირი სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>

დაზარალდა 1 არასრულწლოვანი სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2020 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1619 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 41,1%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 58,7%-ს, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ - 0,1%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 781 შუამდგომლობა, ანუ 48,2%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 70,6%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 32,7%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 644 შუამდგომლობა, ანუ 39,8%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა შეფარდებაზე 194 შუამდგომლობას, ანუ 12,0%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2020 წლის თებერვალში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 48,8% (470), გირაოზე - 49,8% (480), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 1,2% (12).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2020 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 964 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 470, ანუ 48,8%, ხოლო არასაპატიმრო - 494, ანუ 51,2%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 97,2%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2020 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1386 საქმე 1552 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1353 საქმე, ანუ 97,6%, შეწყდა 19 საქმე (1,4%), დაუბრუნდა პროკურატურას 14 საქმე, ანუ 1,80% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2020 წლის თებერვალში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 856 საქმე (სულ განხილული საქმეების 63,3%) 951 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 62,9%), არსებითი განხილვით დამთავრდა 497 საქმე (შესაბამისად 36,7%) 561 პირის მიმართ (37,1%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით

განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2020 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 497 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 425 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 45 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 27 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2020 წლის თებერვალში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 580 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 9,7%-ს, ნაწილობრივ გამართლებული პირების ხვედრითი წილი - 5,2%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 3,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი №12).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2020 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ არსებითი განხილვის გარეშე შემოსული იყო 651 სისხლის სამართლის საქმე 705 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 856 საქმეზე 951 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში არსებითი განხილვით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 25,5% (იხ. დანართი ცხრილი №13.

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2020 წლის თებერვალში სულ მსჯავრდებული 1455 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 292 პირს, ანუ 20,1%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 733 პირს, ანუ 50,4%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 290 პირს, ანუ 19,9%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 138 პირის, ანუ 9,5%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2020 წლის თებერვალში სულ მსჯავრდებული 1455 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 94,0%-ს, ხოლო ქალი 6,0%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 0,3%-ს, ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,6%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 23,8%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 4,7% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 23 პირი, რაც შეადგენს 1,6%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 207 პირი, ანუ 14,2%,

- 25-29 წლის ასაკის 229 პირი, ანუ 15,7%,

- 30-49 წლის ასაკის 760 პირი, ანუ 52,2%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 236 პირი, ანუ 16,2%.



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 46 პირი, ანუ 3,2%, საშუალო განათლების მქონეა 1133 პირი, ანუ 77,9%, უმაღლესი განათლების მქონეა 269 პირი, ანუ 18,5%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1455 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 1189, ანუ 81,7%
- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის 62, ანუ 4,3%
- სხვა მომუშავეა 142, ანუ 9,8%
- კერძო მეწარმეა 15, ანუ 1,0%
- მოსწავლე ან სტუდენტია 11 ანუ 0,8%
- საჯარო მოსამსახურეა 7 ანუ 0,5% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 11,9%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2020 წლის თებერვალში მსჯავრდებული იყო 23 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 1,6%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 21, ანუ 91,3%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 17 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 73,9% (იხ. დანართი ცხრილი №15).

2020 წლის თებერვალში სულ მსჯავრდებული 23 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 2 პირს, ანუ 8,7%-ს, პირობითი მსჯავრი 19 პირს, ანუ 82,6%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 2 პირს, ანუ 8,7%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 23 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 12 პირს, ანუ 52,2%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 8,3%;

- ყაჩაღობისათვის მსჯავრი დაედო 4 პირს, ანუ 17,4%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს;

- განზრახ მკვლელობისათვის მსჯავრი დაედო 1 პირს, რომელსაც შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა და სხვა.

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 7 არასრულწლოვანი, ანუ 30,4%;

- იმერეთის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 4 არასრულწლოვანი, ანუ 17,4%;

- აჭარის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 5 არასრულწლოვანი, ანუ 21,7%;

- ქვემო ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 2 არასრულწლოვანი, ანუ 8,7% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №18).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2020 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1353 საქმე 1512 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1455 (56 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, ერთი პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად) პირის მიერ ჩადენილი იყო 1748 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 1904 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).

2020 წლის თებერვალში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 2,8%-ს, მძიმე დანაშაული - 25,9%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული 71,3%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 1748 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 2,6%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 27,9%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 69,4%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 90,0%-ს, პირობითი მსჯავრის - 8,0%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 38,2%-ს, პირობითი მსჯავრის - 57,5%-ს, ჯარიმის - 4,1%-ს.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 15,8%-ს, პირობითი მსჯავრის - 44,2%-ს, ჯარიმის - 25,6%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 14,0%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



2020 წლის თებერვალში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 200 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 11,4%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 221 სასჯელი, ანუ 11,6%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 19,9%-ს, პირობითი მსჯავრის 40,3%-ს, ჯარიმის - 24,4%-ს.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 25,6% (448), ნარკოტიკულ დანაშაულზე - 23,1% (404), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 20,1% (352), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 5,4% (94), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ - 5,7 (99) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა (პროცენტობით)



2020 წლის თებერვალში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 1904 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 24,0%-ს (457);

- პირობითი მსჯავრი 47,0%-ს (894);

- ჯარიმა 19,0%-ს (361);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 9,8%-ს (187).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2020 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 780, ანუ 41,0% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, იმერეთის სასამართლოებზე - 218, ანუ 11,4%, აჭარის სასამართლოებზე - 230, ანუ 12,1%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 160, ანუ 8,4%, შიდა ქართლის სასამართლოებზე - 108, ანუ 5,7%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 152, ანუ 8,0% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: თბილისზე - 33,1%, შიდა ქართლზე - 17,6%, მცხეთა - მთიანეთზე - 27,8%, სამცხე-ჯავახეთზე -17,9%, ქვემო ქართლზე - 15,6%, სამეგრელოზე - 14,5%, აჭარაზე - 18,7% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: იმერეთზე - 47,2%, თბილისზე - 43,5%, მცხეთა - მთიანეთზე - 52,8%, გურიაზე - 72,9%, კახეთზე - 51,6%, შიდა ქართლზე - 47,2%, სამეგრელოზე - 50,0%, ქვემო ქართლზე - 58,8%, და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: რაჭა -28,0%, აჭარა - 33,5%, იმერეთი - 16,5%, სამცხე-ჯავახეთი - 26,8%, სამეგრელო - 16,4%, შიდა ქართლი - 18,5%, ქვემო ქართლი - 18,8%, თბილისი - 16,3% და სხვა.

თავი IV. პენიტენციური და პრობაციის სისტემების სტატისტიკა[1]

ნაწილი 11 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახური

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2020 წლის თებერვლის მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 9 861 პირი, მათ შორის 9 463 კაცი და 398 ქალი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის სტატისტიკის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წლის პირველი იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან, მ/წლის 29 თებერვლის პენიტენციური დეპარტამენტის მონაცემების შედარების შედეგად ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (9 861) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 723 500) 0.26% შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (9 463) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 790 900) 0.53%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (398) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 932 600) 0.02%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

2020 წლის თებერვლის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (9 414). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):

[1] ანგარიში მომზადებულია 2020 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით.



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 41-49 წლამდე ასაკის ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდებიან.



ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები

2020 წლის თებერვლის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 9 861 პირი (მათ შორის: ბრალდებული - 1 905; მსჯავრდებული - 7 956). მათი კლასიფიცირება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №27):



მსჯავრდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები





ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში

საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 19.3%-ს ბრალდებულები შეადგენდნენ. საანგარიშო პერიოდში, 7 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 1 905 ბრალდებული ირიცხებოდა. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):

ბრალდებულები დაწესებულებებში



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი ბრალდებული №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

საერთო რაოდენობასთან შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 80.7%-ს მსჯავრდებულები შეადგენდნენ. 2020 წლის თებერვლის ბოლოს, 15 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 7 956 მსჯავრდებული ირიცხებოდა. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი მსჯავრდებული №15 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.2 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

